

**Julieta Gabodze**

**ჯულიეტა გაბოდზე**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

## **Anarchist to Assyriologist: The Path of Mikheil (Mikhako) Tsereteli**

**(Based on Archival Materials)**

**მიხეილ (მიხაკო) წერეთლის გზა ანარქისტობიდან ასირიოლოგიამდე**

**(საარქივო მასალების მიხედვით)**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10918>

Mikhako Tsereteli led a diverse career, serving as a professor in Tbilisi, Brussels, and Berlin, and specializing in Assyriology and Ancient Near Eastern history. His work spanned politics, scholarship, and public service, with numerous publications and participation in many international conferences. He edited and contributed to various émigré periodicals, notably helping introduce Georgian literature and culture to foreign audiences.

Mikhako Tsereteli's archives hold valuable materials, including correspondence with Ivane Javakhishvili and Konstantine Kandelaki recollections of the little-known polemic between Ivane Javakhishvili and Iakob Gogebashvili which bare particular importance.

Georgian and cuneiform notes entered in Vakhtang Ghambashidze's "Patara Tsemi" guest book, show his deep sorrow over losing his homeland.

**Keywords:** émigré, Assyriologist, memoirs, publicistic, epistolary, Javakhishvili, Wardrop, Akaki

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრანტი, ასირიოლოგი, მოგონებები, პუბლიცისტური, ეპისტოლური, ჯავახიშვილი, უორდროპი, აკაკი

მრავალფეროვანია მიხაკო წერეთლის ბიოგრაფია, კიდევ უფრო მრავალმხრივია მისი მოღვაწეობა – თბილისის, ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი, ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალისტი, 1914-1918 წწ. იყო საზღვარგარეთ მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი სკანდინავიის ქვეყნებში, პოლიტიკური ემიგრანტი და პოლიტიკური ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი ლიდერი.

ყოფილმა ანარქისტმა და რევოლუციონერმა ექვთიმე თაყაიშვილის შეგონებით შეიცვალა პოლიტიკური ორიენტაცია. დავით სარაჯიშვილის ფინანსური დახმარებითა და ივანე ჯავახიშვილის რჩევით განათლება მიიღო ევროპის რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში. განსაკუთრებით დაინტერესდა ასირიოლოგიური მეცნიერებით, დაიცვა დისერტაცია და გამოაქვეყნა რამდენიმე ათეული ნაშრომი: 1912 წ. მისი კვლევა „შუმერული და ქართული“ მალევე ითარგმნა ინგლისურ და იტალიურ ენებზე. 1924 წელს კონსტანტინეპოლში გამოიცა მის მიერ ქართულად თარგმნილი „გილგამეშანი“, 1928 წელს ჰაიდელბერგის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა შრომები: „ახალი ქალდეური წარწერები“, ხოლო 1933-1935 წლებში „ურარტული ეტიუდები.“

მრავალმხრივია მიხაკო წერეთლის ინტერესები: პოლიტიკა, მეცნიერება, საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იყო ავტორი მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონაწილე ათობით საერთაშორისო კონფერენციისა. რედაქტორი და ავტორ-თანამშრომელი ემიგრანტული პერიოდული გამოცემებისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი უცხოელთათვის ქართული მწერლობისა და კულტურის გაცნობის საქმეში. მან დააარსა „საქართველოს კულტურის შესწავლის საზოგადოება“ და ემიგრაციაში მყოფ ქართველებს მოუწოდებდა: „*უმთავრესად საყურადღებოა უცხოეთის ქართველებისთვის კულტურული ღვაწლი ჩვენი ემიგრაციისა*“ (ზამალა, 2003, გვ. 46).

მ. წერეთელი აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებსა და ნაშრომებს როგორც ქართულ პერიოდულ პრესაში, ასევე მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო კრებულებში. წერდა ფსევდონიმებით Baton, B, სანგალა, ალაროიდელი, ვრაცი, um camarad და სხვ.

არის ავტორი მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნისა: „ერი და კაცობრიობა“, „საქართველო და მსოფლიო ომი“, „რასები და კულტურული პრობლემა კავკასიისა“, „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“. 1933 წელს ბერლინში გამოიცა მის მიერ თარგმნილი სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“. სრულიად გამორჩეულია მისი წვლილი რუსთაველოლოგიაში. 1963 წელს პარიზში გამოქვეყნდა მ. წერეთლის მიერ რედაქტირებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, ხოლო 1975 წელს – პოემის მისეული გერმანული პროზაული თარგმანი. ჟურნალში „ბედი ქართლისა“ იბეჭდებოდა მისი სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის, რამდენიმე ნომერი დაეთმო ფუნდამენტურ კვლევას „მიმცემი და მიმღები“.

მოხსენებაში წარმოვადგენთ რამდენიმე ნაკლებად ცნობილ ეპიზოდს მიხაკო წერეთლის ცხოვრებიდან, საარქივო მასალებისა და მის თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით.

ცნობილია, რომ საქართველოშიც და უცხოეთშიც ყოფნისას მიხაკო წერეთელი აქტიურად ეხმიანებოდა თითქმის ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებსა და სამეცნიერო მიღწევებს. ყოველთვის გამორჩეულ ინტერესს იმსახურებდა მისი ნეკროლოგები ქართველ მოღვაწეთა შესახებ. თავდაპირველად საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია მიხეილ წერეთლის წერილს, რომელიც დაიბეჭდა ილიას გარდაცვალების დღეებში. წერილის შევსებულ/ შესწორებული ვერსია გამოქვეყნდა პარიზში 1952 წელს (წერეთელი, 1952, გვ. 15-19).

ბერლინში, 1941 წ. ქართველთა კოლონიის კრებაზე ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე წარმოთქმული მიხაკო წერეთლის სიტყვა მჭევრმეტყველების ნიმუშად იქნა აღიარებული (წერეთელი, 1943, ქართველი ერი. 1943. № 3/4.- დამატება: გვ. 1-12) (შარაძე, 1991, გვ. 318).

მნიშვნელოვან ინფორმაციას ინახავს მისი მოგონებები და მიმოწერა ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან. ამჯერად, ჩვენი ინტერესის საგანია ივანე ჯავახიშვილთან 1910-1914 წლებში მიწერილი მიხაკო წერეთლის წერილები, ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ამ უაღრესად საინტერესო მიმოწერიდან ვეცნობით მ. წერეთლის ბიოგრაფიის დეტალებს, იმ ნდობასა და პატივისცემას, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი იჩენდა მის მიმართ. **1910 წლის 16 იანვარს ლონდონიდან გამოგზავნილი წერილის** მიხედვით ვიგებთ, რომ მ. წერეთელი 5 წლით გაუძევა ბიათ საქართველოდან პოლიტიკური (ანარქისტული) მოღვაწეობის გამო. ინგლისში უსახსროდ დარჩენილისთვის ჯავახიშვილს ურჩევია, რომ ემუშავა ლექტორად ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, რომლის დაარსებასაც აპირებდა ოლივერ უორდროპი. ენის არასათანდაოდ ცოდნის გამო მ. წერეთელს უარი უთქვამს ლექტორობაზე.

მისი მიზანი ყოფილა მომზადება ასირიოლოგიაში, მიხაკოს თავდაპირველად თავისით დაუწყია ლურსმულის შესწავლა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ხელმძღვანელის გარეშე ვერაფერს გახდებოდა. საფუძვლიანი ცოდნისთვის აუცილებელი იყო საუნივერსიტეტო განათლება, რაც ინგლისში ძალიან ძვირი იყო და ამიტომაც სთხოვს ივ. ჯავახიშვილს დახმარებას:

„ახლა თქვენს პედაგოგიურ ინსტიტუტებს მივმართავ, თუ ნახოთ შესაძლებლად, რომ კიდევ არის შესაძლებელი ჩემი სწავლა, ჰქენით მადლი და მისწერეთ სარაჯიშვილს, რომ სტიპენდია მამცეს ან აქ, ან გერმანიაში. ჩემის ფიქრით, გერმანიაში უფრო იაფია და სჯობია კიდევ, აქ კი, ლონდონში, არც კია სპეციალური კურსები ასირიოლოგიის, ოქსფორდში კი,

სადაც ჩვენი კათედრა უნდა იყოს, ნამეტანი ძვირია ცხოვრება და სწავლა. ისე რომ მოხერხდებოდეს, რომ ოქსფორდში ლექტორადაც ვიყო, სტიპენდიანტადაც, კარგი იქნება, მაგრამ ჯერ-ხნობით ლექტორობას ვერ შევძლებ მოუმზადებლობის და ინგლისურის უხეიროდ ცოდნის გამო“ (წერეთელი, 1910, ხეც, 2444).

როგორც ჩანს, ენის შესასწავლად არც გარემო უწყობდა ხელს, უსახსრობის გამო ისეთ ღარიბ უბანში ცხოვრობდა, სადაც ინგლისელს თვალითაც კი ვერ ხედავდა.

როგორც ირკვევა, ოლივერ უორდროპს ეხმარებოდა ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის შედგენაში:

„მან ინგლისურის ლიტერატურულის ენითა სწეროს და მე კი თქვენი დახმარებით მასალასა და წიგნის გეგმას მივსცემ ... ძლიერ გაეხარდება, თვითონ უნდოდა შედგენა და ვერ მოახერხა, დამხმარე არავინა ჰყავდა... მას ლექსიკონის (ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული) დიდი ნაწილი უკვე შედგენილი აქვს თავის დის დახმარებით“ – სწერს ივ. ჯავახიშვილს და უსურვებს დიდი გეგმის განხორციელებას – გულისხმობს „საქართველოს ისტორიის“ დაწერას (წერეთელი, 1910, ხეც.2444).

ერთ-ერთ წერილში მ. წერეთელი იხსენებს იმ დროს, როდესაც ჯავახიშვილის ლექციაზე სამად სამი კაცი იყო და რობაქიძის სისულელეს კი (ასე წერს თავად ჯ. გ.) ათასობით აწყდებოდა ხალხი!<sup>1</sup>.

„...ეჰ, მეც თუ ბედმა გამიღიმა ერთხელაც, ერთი შევიბერტყე წარსულის მძიმე ტვირთი დალილობის და ბრწყალი ჩავკიდე მეცნიერებას, იქნებ ამან თანდათან უფრო გამამა-ცოცხლოს, გამამხნევოს და მაშინ სულ არ დავზოგავ ძალ-ღონეს, თავს მოვიკლავ,

აქაურობას მაინც გავაცნობ ჩვენ ვინაობას...თქვენი წერილის თარგმანი დავამთავრე, ეხლა ვემბ ინგლისელს, რომ გავასწორებინო...თუ ის დავაბეჭდვინე, მაშინ კარგად იქნება საქმე. მერმე სხვას მივუტან, ამგვარად, თუ აქ ვიქენ, რაც არის უკვე გაკეთებული თქვენგან, მარისგან.. იმას მაინც გავაცნობ აქაურებს და ესეც კარგი იქნება“ (წერეთელი, 1910, ხეც.2444).

გულდაწყვეტილია, რომ ევროპელები ქართულ კულტურას არ იცნობენ და ამის გამო მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობს საქართველოს შესახებ: „*ცოტათი სასოწარკვეთილება მეპარება, ბუნდოვნად ვხედავ, რა ღრმა და ხანრძლივი წარსული ჰქონია ჩვენს ერსა! რამდენია გასასწორებელი ევროპელთა მეცნიერებაში, რაულინსონის ძმას(ჯორჯს) რომ ჰკითხო, მაგალითად „მესხებმა“ მოსკოვი დააარსესო*“ (წერეთელი, 1910 ა, ხეც №2445).

**შემდეგი წერილით (1910 წ. 9 ნოემბერი)** ირკვევა, თუ როგორ ნდობას უცხადებს ივ. ჯავახიშვილი. მისთვის დაუვალებია ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერების შემოწმება. მ. წერეთელი ყველა ქართული ავტოგრაფი გადაუკითხავს, რომელსაც ჯავახიშვილი ეხება. გულდაწყვეტილია, რომ მეცნიერები, რომლებმაც ქართული ენა საერთოდ არ იციან, ქართულს ადარებენ მკვდარ ენებს. მისი აზრით: „*აუარებელი სიტყვა და სიტყვის ძირი მოიპოვება მიდიურ და ურარტულ ენაში ქართული*“ (წერეთელი, 1910ა, ხეც №2445).

**1911 წლის 6 მაისის წერილის** მიხედვით ვიგებთ, რომ თარგმნა ი. ჯავახიშვილის წერილი „მთვარის მოტაცების ამბავი“ (სავარაუდოდ, წიგნიდან „ქართველი ერის ისტორია“), გაასწორებინა და გაუგზავნა იქაურ ჟურნალს დასაბეჭდად, სწერს, ასევე, რომ სუმერული ენის შესახებ ამზადებს სტატიას ქართულად, თუმცა გულდაწყვეტილია, რომ ინგლისურად მის დაბეჭდვას ვერ შეძლებს უსახსრობის გამო და თან არც ისე მარტივია გავლენიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება (წერეთელი, 1911, ხეც №2450).

<sup>1</sup> ეს პირვანდელი შთაბეჭდილება შემდგომში სრულიად შეიცვალა, რადგან გრიგოლ რობაქიძე უდიდეს პატივს სცემს მიხაკოს და თავისი ნაშრომების ერთ-ერთ პირველ მკითხველად და შემფასებლად იგულებს.

მ. წერეთელი ამავე წერილით ატყობინებს, რომ 1911 წლის გაზაფხულზე აპირებდა მონაწილეობის მიღებას ეროვნულ უმცირესობათა კონგრესში 7 წუთიანი რეგლამენტით, თუმცა საბოლოოდ აღარ დასწრებია, რადგან მდივანს უთქვამს, რომ შესაძლოა არც კი მისცემოდა სიტყვა, როგორც მცირე ერის წარმომადგენელს.

ერთი წლით ადრე კი, **1910 წელს**, მას მონაწილეობა მიუღია ლონდონის კონფერენციაზე. ხელნაწერთა ცენტრში ინახება მიხეილ წერეთლის მიერ ლონდონში ნაციონალური საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა. დაბეჭდილია კრებულში (წერეთელი, 1910 ბ).

**მ. წერეთელი 1916 წ. 26-29 ივლისს ქ. ლოზანაში (შვეიცარია) გამართულ მესამე საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესზე იყო საქართველოს წარმომადგენელი.** შემონახულია მის მიერ წარმოთქმული სიტყვა (წერეთელი, 1916, გვ.117-31).

**1914 წლის 18 აპრილს** მიხაკო ჰაილდერბერგიდან ატყობინებს ჯავახიშვილს, რომ ვერ შეძლო მისი წიგნის “ქართველი ერის ისტორია“ შესახებ ვრცელი რეცენზიის დაწერა მოუცლელობის გამო, რადგან იმ ხანად დისერტაციაზე მუშაობდა (წერეთელი, 1914, ხეც №2453)

ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილი მისი ბარათების მიხედვით საცნაური ხდება მიხაკო წერეთლის ხასიათის გამორჩეული თვისებები: შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა და ყოველივე ქართულისადმი დიდი ინტერესი და სწრაფვა განვითარებისაკენ. საბოლოოდ, სწორედ ამ უნარებმა მიიყვანა მეცნიერი იმ დიდ შედეგამდე, რომელსაც მიაღწია.

დასაფასებელია, რომ მიხეილ წერეთელი ასევე აქტიურად ეხმიანებოდა ყველა მეცნიერსა და მოღვაწეს, ვისაც კი რაიმე ღირებული შეუქმნია საქართველოს წარმოსაჩენად.

ქართული ემიგრაციის მუზეუმში დაცულია მიხაკო წერეთლის წერილი კონსტანტინე კანდელაკისადმი, რომელიც იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი (1919-1921), საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ მთავრობის წევრთა ნაწილთან ერთად ემიგრაციაში გაიხიზნა. ცხოვრობდა საფრანგეთში. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და პუბლიცისტურ საქმიანობას. მიხაკო წერეთელი ეხმიანება კ.კანდელაკის მიერ 1953 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემულ წიგნს – **„საქართველოს საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე (აქტები-დოკუმენტები-დამამტკიცებელი საბუთები)** და აღნიშნავს მის საეტაპო მნიშვნელობას. პირად წერილში მადლობას უხდის ასეთი ფუნდამენტური შრომისთვის:

„საპროპაგანდოდ ამაზე უკეთესს აქ სხვას ვერც ვიშოვნით... ეჰ, ჩემო ბატონო, ჩვენი დაუდევრობა არ ახალია, ძველია... ოცდაათი წელი გავატარეთ ემიგრაციაში და ვერ მოვახერხეთ ვერც ერთი პროპაგანდული ლიტერატურის შექმნა და ვერც ქართული საქმის განგრძობითა ახალგაზრდათა კადრის აღზრდა. ახლა ჩვენ დავბერდით, მივდივართ და ღმერთმა იცის, ვის ჩაუვარდება ხელში ჩვენს შემდეგ ქართული საქმის ხელმძღვანელობა და უმეტესად მადლობელნი ვართ ჩვენ ყველანი, რომ ერთი შესანიშნავი საპროპაგანდო წიგნი მაინც მოგვეცით ხელში, რომ უცხოელებს მივცსეთ და დავაკმაყოფილოთ“ (წერეთელი, 1953, ემიგრაციის მუხ. ფ.ც-ა.3-ბ.20 ).

1957 წელს ამერიკაში გამომავალ „კრებულში“ გამოქვეყნდა გივი კობახიძის მიერ ჩაწერილი მიხეილ წერეთლის მოგონება ივანე ჯავახიშვილისა და იაკობ გოგებაშვილის ნაკლებად ცნობილი პოლემიკის შესახებ. ეს მოგონება თვალნათლივ წარმოაჩენს დიდი მეცნიერის პრინციპულ და კეთილსინდისიერ ბუნებას (კობახიძე, 1957, გვ. 55-72).

როგორც ცნობილია 1904 წელს ივანე ჯავახიშვილმა წერილების ციკლში **„მეცნიერება და მამულიშვილობა“** მკაცრად გააკრიტიკა იაკობ გოგებაშვილის წიგნში „ბურჯი ეროვნებისა“ გამოთქმული მოსაზრება ეროვნული თვითმყოფადობის შესახებ **„ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათის“** გამო და მას **„გაზვიადებული ეროვნული თავმოყვარეობის გამოვლინება“** უწოდა (ჯავახიშვილი, 1904 „ცნობის ფურცელი“, №2453...). ამ წერილს მალევე გამოეხმაურა აკაკი წერეთელი ერთობ მწვავე სტატიით „ქართველთა მოძულენი“ (წერეთელი, 1904, „ივერია“ 1904, №128-130). იაკობ გოგებაშვილმა კი ივ. ჯავახიშვილის კრიტიკას მაშინ მოკლედ უპასუხა (გოგებაშვილი, 1904, №2481,

გვ. 3). იგი წუხდა, რომ ოპონენტმა მისი გამონათქვამები კონტექსტიდან ამოგლეჯილად გააკრიტიკა და იქვე აღნიშნა, ჯავახიშვილის ამ წერილებს პირადი წყენა უდევს საფუძვლად, რადგან ერთხელ ნიკო მარისთვის პირისპირ შეხვედრისას საყვედური უთქვამს იმის გამო, რომ მან გაილაშქრა აკაკის წინააღმდეგ და პასუხი არ გასცა ეზოვს, როდესაც ის აკრიტიკებდა ქართველებს. გოგებაშვილს არც ჯავახიშვილი დაუნდვია იმის გამო, ის თავის ისტორიულ წერილებში არ აღიარებდა ანდრია პირველწოდებულის შემოსვლას საქართველოში, არც ნინოს როლს ქართველთა გაქრისტიანებაში, ამით კი, მისი აზრით, ქართული სამოციქულო ეკლესიის უფლებები კნინდებოდა. დაუმუნათებია იმის გამოც, რომ იგი არც ერთხელ არ გამოექომაგა და არ დაიცვა ქართველი ერი, როდესაც უცხო ტომის მეცნიერები აკნინებდნენ. (გაბოძე, 2024, გვ.478).

ძალიან საინტერესო ცნობებს შეიცავს მიხეილ წერეთლის მოგონება ამ პოლემიკასთან დაკავშირებით. როგორც ირკვევა, იაკობ გოგებაშვილს გულში ხინჯად ჰქონდა ჩარჩენილი, რომ თავის დროზე ამომწურავი პასუხი ვერ გასცა ჯავახიშვილის კრიტიკას და ორი წლის შემდეგ, 1906 წელს, მიუტანია წერილი დასაბუქდად გაზ. „ერში“. წერილი საკმაოდ მწვავე ხასიათის ყოფილა და ამიტომაც მიხეილ წერეთელს, რომელიც იმხანად გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო, კატეგორიული უარი უთქვამს გოგებაშვილისთვის მის დაბეჭდვაზე, რადგან ამით შეურაცხყოფა მიადგებოდა დიდ მეცნიერს. მას დაურწმუნებია ავტორი, რომ ადრინდელი წყენის გახსენება არ ივარგებდა და თავისი პრინციპულობით გადაურჩენია კიდევ მათი ურთიერთობა (კობახიძე, 1957, გვ. 55-72.)

მიხაკო წერეთელს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ ემიგრაციაში ქართველი მოღვაწენი, განურჩევლად მათი პარტიული კუთვნილებისა. მიხაკოს 70 წლის საიუბილეოდ ათობით მისასალმებელი წერილი დაიბეჭდა. ვის სიტყვას არ შეხვდებით: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, კ. სალია. გ. კვინიტაძე, ბელგიის ქართული კოლონიის თავ-რე ი. ტატიშვილი, თამარ და აკაკი პაპაევები, გრ. დიასამიძე, არჩილ გომართელი, გიორგი ჟურული, გიორგი კერესელიძე, ნ. სალია, ვახტანგ ღამბაშიძე და სხვ. (ბედი ქართლისა, 1948, № 3. გვ. 4-12).

ცნობილია მიხაკოსთან ქართველი ექიმისა და საქართველოში კურორტოლოგიის ფუძემდებლის, ვახტანგ ღამბაშიძის მეგობრობა. გამორჩეულია მიხაკო წერეთლის ქართული და ლურსმული ჩანაწერები, რომლებიც ჩაუწერია ვახტანგის მიერ დაარსებული სანატორიუმ პატარა ცემის დამსვენებელთა შთაბეჭდილებების წიგნში. პირველი ჩანაწერი 1909 წლის 18 ივლისით თარიღება, როდესაც მიხაკო ჯერ ისევ საქართველოში იყო.

მას ლექსად გამოუხატავს თავისი აღტაცება და მადლიერება მეგობრისადმი:

*„ბრძანა ვახტანგმან მეურნალმან  
და აღჩნდა სანატორია  
პატარა ცემის სახელი,-  
თვით სამოთხისა სწორია“.*

#### **მ. წერეთელი 1909, 18 ივნისი**


12 წლის შემდეგ, უკვე ემიგრაციაში მყოფს, იმავე გვერდზე გაუკეთებია მეორე ჩანაწერი, რომელშიც სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული უზომო სევდა იკითხება:

*„ჩვიდმეტი წელი გავიდა...სადღაა სანატორია?!  
დავკარგეთ ჩვენი ქვეყანა, მაღლაც სამოთხიას სწორია...  
ეს არის წუთი-სოფელი. ჟამთა უკუღმა ტრიალი  
ცემის ნიავის მაგივრად ავტომობილთა ხრიალი“.*

#### **მ. წერეთელი**

იქვეა ლურსმული ჩანაწერი ქართული თარგმანით: „*მაღალთა ღმერთთა აკურთხონ მეგობარი ჩემი და სახლი მისი . 24. XI. 1926. პარიზი .*

## ჩანაწერები „პატარა ცემის“ ალბომში



მიხაკო წერეთლის ჩანაწერი სანატორიუმ „პატარა ცემის“ ალბომში.

Mikhako Tsereteli's recording in Georgian and cuneiform in the anbonm of the sanatorium "Patara Tsemi".

ვახტანგ ღამბაშიძის არქივში შემონახულია ამავე სანატორიუმის ეზოში გადაღებული ჯგუფური სურათი, რომელშიც ვახტანგ და დავით ღამბაშიძეებთან და რამდენიმე სხვა პირთან ერთად არის მიხაკო წერეთელიც. სურათი 1909 წლისაა, როგორც ჩანს, მიხაკო დასასვენებლად იმყოფებოდა პატარა ცემის სანატორიუმში (ღამბაშიძე, 2019, გვ.51).

სამწუხაროდ, ამ დიდებულ მოღვაწესაც, მარად სამშობლოზე მაფიქრალსა და მზრუნველს, ისევე როგორც ალბომის „ბინადართ“, ბევრ სხვა ქართველთან ერთად არ ეწერათ სამშობლოს ხილვა.

## სანატორიუმ „პატარა ცემში“



ღვთო ღამბაშიძე, მიხაკო წერეთელი, ვ. ღამბაშიძე... პატარა ცემი

„პატარა ცემში“ მიხაკო წერეთელი ვახტანგ და დავით ღამბაშიძეებთან  
Mikhako Tsereteli with Vakhtang and Davir Gambashidze in the sanatorium "Patara Tsemi".

მართლაც, „სადაურსა სად წაიყვანს“ ბედი, მაგრამ მათი ცხოვრება სწორედაც რომ, არ ყოფილა უსაგნო და ფუჭი. სამშობლოდან მოწყვეტილებმა დიადი მიზანი დაისახეს: სხვადასხვა ქვეყანაში მყოფთ სხვა ერებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მოეთხროთ დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე პატარა საქართველოს როლის შესახებ კაცობრიობის ცივილიზაციის პროცესში. დიახ, ეს უდიდესი მისია იყო და იქნებ ემიგრანტობის ჯვარცმა ამად ღირდა კიდევ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ზამბალა, ე. (2003). მიხაკო წერეთლის პუბლიცისტიკა, „ბედი ქართლისა“ 1948-1964, ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი ISBN 9928-46-83-6
- ბედი ქართლისა (1948) მიხეილ წერეთელი: 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო მილოცვები, ბედი ქართლისა, 3. გვ. 4-12. პარიზი.
- გაბოძე, ჯ. (1980). ყველა გზა რომში / გლობალიზაციისკენ / მიდის: ივ. ჯავახიშვილის დია და ფარული პოლემიკა ი. გოგებაშვილთან და აკაკისთან) .  
[https://tsu.ge/assets/media/files/48/konferenciebi/Simpoziumi\\_Masalebi\\_XVII.pdf](https://tsu.ge/assets/media/files/48/konferenciebi/Simpoziumi_Masalebi_XVII.pdf)
- გოგებაშვილი, ი. (1904) „ფელეტონი – მკითხველისადმი (თავ. ჯავახიშვილის წერილის გამო). „ცნობის ფურცელი“, 2481, 2-3. თბილისი.
- კობახიძე, გ. (1957). მიხეილ წერეთლის ნაამბობი: (იაკობ გოგებაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შესახებ, ჩაწერილი გივი კობახიძის მიერ 1945-46 წ. ზამთარში). კრებული, 1, 55-72, ნიუ იორკი.
- საგინაშვილი, ნ. (2003). ივანე ჯავახიშვილი და მიხეილ წერეთელი: ზოგიერთი შტრიხი. ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი და „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, 44-67, თბილისი, ISBN 99940-13-48-3.
- ღამბაშიძე, ვ. (2019). მიხაკო წერეთლის ჩანაწერები ქართულად და ლურსმულად. ვახტანგ ღამბაშიძის აღბომი, 51, 187. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, ISBN978-9941-30-510-8
- წერეთელი, ა. (1904). ქართველთა მოძულენი, თბილისი: „ივერია“, 128-130;
- წერეთელი აკაკი თხულებანი ოც ტომად, ტ. XIV. თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
- წერეთელი, მ. (1910). მიხაკო წერეთლის წერილი ივანე ჯავახიშვილთან, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი, 2444
- წერეთელი, მ. (1910ა). მიხაკო წერეთლის წერილი ივანე ჯავახიშვილთან, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი, 2445
- წერეთელი, მ. (1910ბ). მიხეილ წერეთლის სიტყვა ლონდონში ნაციონალური საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე “Nationalities and Subject Races, Report of Conference. London, June 28-30”.
- წერეთელი, მ. (1911). მიხაკო წერეთლის წერილი ივანე ჯავახიშვილთან, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი, 2450)
- წერეთელი, მ. (1914). მიხაკო წერეთლის წერილი ივანე ჯავახიშვილთან, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი, 2453)
- წერეთელი, მ. (1916). მიხეილ წერეთლის სიტყვა, თბილისი: მნათობი. 1993. 2. 117-131 იქვე ფრანგულენოვანი ვერსია: Les Droits du peuple géorgien: Rapport présenté au IIIe Congrès de l'Union des Nationalités tenu à Lausanne au mois de juin, 1916 (ხელმოწერა: M. Tseretheli).
- წერეთელი, მ. (1943). ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ წერეთლის სიტყვა, პარიზი: „ქართველი ერი“, 3/4. (დამატება: 1-12).
- წერეთელი, მ. (1952). მიხეილ წერეთლის სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის ტფილისში ჩამოსვენებისას 7 სექტემბერს 1907 წ. „ბედი ქართლისა“, 12, 15-19. პარიზი.
- წერეთელი, მ. (1953). მიხეილ წერეთლის წერილი კონსტანტინე კანდელაკისადმი, ქართული ემიგრაციის მუზეუმი ფ.ც-ა.3-ბ.20
- შარაძე, გ. (1991). მიხეილ წერეთელი უცხოეთის ცის ქვეშ, 303-348, თბილისი: „მერანი“.
- ჯავახიშვილი, ივ. (1904). „მეცნიერება და მამულიშვილობა“, „ცნობის ფურცელი“, №№2453; 2458, 2460, 2465-2467, თბილისი.

## References:

- Badzagua, E. (2003). Mikhak'o Ts'eretelis p'ublists'ik'a, [*Mikhako Tsereteli's journalism, "Bedi Kartlisa" 1948-1964*]. Kutaisi: Publishing Center.
- Bedi Kartlisa. (1948). *Mikheil Ts'ereteli: 70 ts'lisadmi midzghvnili milotsvebi, Bedi Kartlisa [Jubilee congratulations dedicated to his 70th anniversary]*. P'arizi, Bedi Kartlisa, 3), 4–12.
- Gabodze, J. (1980). Q'vela gza romshi /globalizatsiisak'en/ midis. Ivane Javakhishvilis ghia da paruli p'olemik'a Iak'ob Gogebashviltan. [*All roads lead to Rome / toward globalization: Iv. Javakhishvili's open and hidden polemics with Iakob Gogebashvili and Akaki*].  
[https://tsu.ge/assets/media/files/48/konferenciebi/Simpoziuri\\_Masalebi\\_XVII.pdf](https://tsu.ge/assets/media/files/48/konferenciebi/Simpoziuri_Masalebi_XVII.pdf)
- Ghambashidze, V. (2019). Mikhako Ts'eretlis Chanats'erebi kartulad da lursmulad. Vakhtang Ghambashidzis albomi. [*Mikhako Tsereteli's notes in Georgian and cuneiform*]. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing. 51, 187 ISBN978-9941-30-510-8
- Gogebashvili, I. (1904). Pelet'oni mkitkhvelisatvis (tavad Javakhishvilis ts'erilis gamo. [A feuilleton – to the reader (regarding Prince Javakhishvili's letter)]. Tbilisi, *Tsnobis Purceli*, (2481), 2–3.
- Javakhishvili, I. (1904). Javakhishvili Ivane Metsniereba da P'at'riot'izmi. [Science and patriotism]. Tdnobis Purceli, 2453, 2458, 2460, 2465–2467. Tbilisi.
- K'obakhidze, G. (1957). Mikheil Ts'eretelis naambobi Iak'ob Gogebashvilsa da Vazha Pshavelaze, Chats'erili 1934-45 ts'lebshi. [*Mikheil Tsereteli's narrations: (About Iakob Gogebashvili and Vazha-Pshavela, recorded in 1945–46)*]. K'rebuli, Collection No. 1, 55–72.
- Saginashvili, N. (2003). Ivane Javakhishvili da Mikheil Ts'ereteli, Zogierti Sht'rikhi dzveli kartuli mts'erlobis. Dzveli kartuli mts'erlobis mk'vlevarni da Vepkhvist'q'aosnis sak'itxebi. [Ivane Javakhishvili and Mikheil Tsereteli: Some details. In *Researchers of Old Georgian Literature and Issues of "The Knight in the Panther's Skin"*] (44–67). Tbilisi. 44–67. ISBN 99940-13-48-3.
- Sharadze, G. (1993). Mikheil Ts'ereteli. [*Mikheil Tsereteli. Under the foreign sky*]. Tbilisi: Merani.
- Ts'ereteli, A. (1904). Kaervelt modzuleni. [*The haters of Georgians*]. Iveria. 128-130; Tsereteli, A. *Works* (Vol. 14). Tbilisi: Sakartvelos Matsne.
- Ts'ereteli, M. (1910). *Mikhako Ts'eretlis ts'erili Ivane Javakhishvilisadmi. [Mikhako Tsereteli's letter to Ivane Javakhishvili]*. Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts], Collection 2444.
- Ts'ereteli, M. (1910a). *Mikhako Ts'eretlis ts'erili Ivane javakhishvilisadmi. [Mikhako Tsereteli's letter to Ivane Javakhishvili]*. Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts], Collection 2445.
- Ts'ereteli, M. (1910b). Mikheil Ts'eretlis Sit'q'va londonsi, natsionaluri sak'itkhebisadmi midzghvnil k'onferentsiaze [*Mikheil Tsereteli's speech in London at the conference dedicated to national questions. In Nationalities and Subject Races: Report of the Conference*] (June 28–30, 1910).
- Ts'ereteli, M. (1911). *Mikhako Ts'eretlis ts'erili Ivane javakhishvilisadmi. [Mikhako Tsereteli's letter to Ivane Javakhishvili]*. Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts], Collection 2450.
- Ts'ereteli, M. (1914). *Mikhako Tseretlis tserili Ivane javakhishvilisadmi. [Mikhako Tsereteli's letter to Ivane Javakhishvili]*. Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts], Collection 2453.
- Ts'ereteli, M. (1916). Mikheil Ts'eretlis Sit'q'va, [Mikheil Tsereteli's speech.], Mnathobi, (1993/2), 117–131. Tbilisi. (Original French version: Les Droits du peuple géorgien: Rapport présenté au IIIe Congrès de l'Union des Nationalités, Lausanne, June 1916.)
- Ts'ereteli, M. (1943). Ivane Javakhishvili. [*Ivane Javakhishvili*]. Kartveli *Eri*, 3–4 (Suppl.), 1–12. P'aris.
- Ts'ereteli, M. (1952). Mikheil Ts'eretlis sit'q'va ta'armotkmuli Ilia Ch'avch'avadzis gadasvenebis tseremoniaze [*Mikheil Tsereteli's speech delivered at the reburial ceremony of Ilia Chavchavadze in Tbilisi on 7 September 1907*]. Bedi Kartlisa, 12, 15–19. P'aris.
- Ts'ereteli, M. (1953). Mikheil Ts'eretlis ts'erili K'onst'ant'ine K'andelak'isadmi. [*Mikheil Tsereteli's letter to Konstantine Kandelaki*]. Georgian Emigration Museum, Fund c-a.3-f.20.